



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1264

2016 წლის 9 ნოემბერი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 მაისის N17 დადგენილების შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** შეიქმნას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციის კომისია.

**მუხლი 2.** კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მოხელეებით:

კომისიის თავჯდომარე - იოსებ ტყემალაძე, გამგებლის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- გიორგი ჩალათაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;
- ივანე ყაველაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი;
- გიორგი მანგოშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური;
- ნინო ბატიაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- გიორგი მჭედლიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
- ნუგზარი მაისურაძე - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობისა და ოფიციალური დონისძიებების დაგეგმა-ორგანიზების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი;

**მუხლი 3.** კომისიის მუშაობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში ჩართული იქნან შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

**მუხლი 4.** კომისიამ მუშაობის პროცესში იხელმძღვანელოს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 მაისის N17 დადგენილებითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით.

**მუხლი 5.** ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს გამგებლის მოადგილეს იოსებ ტყემალაძეს.

**მუხლი 6.** ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**მუხლი 7.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24

გამგებელი:  **გიორგი ჯამბურია**

